ზ) თუ საექსპერტო მომსახურება ითვალისწინებს ბიუროს ტერიტორიის გარეთ არსებული გამოსაკვლევი ობიექტის დათვალიერებას/კვლევას/ნიმუშის აღებას, მიმწოდებელი ვალდებულია კვლევის დაწყებიდან გონივრულ ვადაში შეუთანხმოს შემსყიდველს ობიექტის დათვალიერების/კვლევის/ნიმუშის აღების თარიღი და დრო.

თ) ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში საექსპერტო მომსახურების შესრულების შეუძლებლობის შემთხვევაში, ბიუროს უფროსის ბრძანების საფუძველზე გააგრძელოს საექსპერტო მომსახურების ვადა.

ი) შესაბამისი დეპარტამენტის ხელმძღვანელი ვალდებულია ამ მუხლის „თ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვადის გაგრძელების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს დამკვეთს: წერილობითი ფორმით; ტელეფონით (სატელეფონო საუბარი დადასტურებულ უნდა იქნეს შესაბამისი ოქმის შედგენით); ელექტრონული ფოსტით ან ფაქსით (ტექნიკური საშუალებით მოწოდებული დადასტურებით ან შესაბამისი ოქმის შედგენით).

კ) დაიცვას გამოკვლევის შესრულების (საექსპერტო კვლევის) საფუძველზე მიღებული ინფორმაციის კონფიდენციალურობა.

4. **მიმწოდებელი უფლებამოსილია:**

ა) მოითხოვოს შემსყიდველისგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების დროული და ჯეროვანი შესრულება;

ბ) შემსყიდველის მიერ 10 სამუშაო დღეში, საექსპერტო მომსახურებისთვის აუცილებელი ობიექტის/მასალის წარმოუდგენლობის/არასრულად წარმოდგენის შემთხვევაში, შეადგინოს აქტი დასკვნის შედგენის შეუძლებლობის შესახებ ან შეწყვიტოს ექსპერტიზის წარმოება.

მუხლი 7. მხარეთა პასუხისმგებლობა

1. მხარეები პასუხს აგებენ მათ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, ან არაჯეროვანი შესრულებისათვის, აგრეთვე ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის შემთხვევაში, ან საკუთარი ნებით ხელშეკრულებიდან გასვლისას, თუ ამ ქმედებამ მეორე მხარეს მიაყენა მატერიალური ზიანი.

2. თუ შემსყიდველი უარს აცხადებს მიმწოდებლის მიერ ჩატარებული სამუშ ოს გაგრძელებაზე ან მომზადებული საექსპერტო დასკვნის მიღებაზე, იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულებით განსაზღვრული შესრულებული კვლევის საფასურის გადახდისაგან

3. თუ მიმწოდებელი თავისი ბრალით, უხეშად დაარღვევს ხელშეკრულებით განსაზღვრულ კვლევის შესრულების ვადას და ამით შემსყიდველს მიადგება მატერიალური ზიანი, მიმწოდებელი პასუხს აგებს მიყენებული მატერიალური ზიანისათვის საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით.

4. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობის ან ვალდებულების შესრულების ვადების დარღვევის შემთხვევაში, სამართალდამრღვევ მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა, მეორე მხარის სასარგებლოდ ვალდებულების შესრულების ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე კონკრეტულად გაწეული მომსახურეობის ღირებულების 0.01%-ის ოდენობით.

მუხლი 8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებამდე.